# სამშობლო

შაბათი,
2 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ.,
4 მ. ცალკე ნომერი ერთი შაური
ტებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს
ფასი ზუსტიათ ნაწილ-ნაწილად გადასახდ
მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი
პირველ გვერდზე პეტიტით ტრის 15 კაპ., უკანა
10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე
განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტ
30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადე
ბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ.
2 საათს შემდეგ 4 მ

№ 325 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი №

ტელეფონი
№ 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრიგ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფ
№ 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე

## „სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშ

---

კვირას, სამ აპრილს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის თავად

### ექვთიმე დავითის ძის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ქვრივი კნეინა ატატო და შვილი დავითი ძმისწულები: ვლადიმერ და აბესალომ ლორთქიფანიძეები და ცოლისდა გარდისინე მეძმარიაშვილის ასული.

322 წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. 1—1

---

შაბათს, 2 აპრილს, 3 საათზე ოლასკურის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

### აზნ. მიხეილ (იბივი მიზახბმგ) თომას ძის ჩიკვაიძის

სულის მოსახსენებლად,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე მისი ფატმან ზურაბ ლოლომბერიძის ასული ჩიკვაიძისა შვილებით, სიძითა და შვილიშვილით.

322 1—1

---

### ბურახი (კვასი) „ესპერანტო“

ადუღებული წყლით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში. ერთი ლიმონათის და ნარზანის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., ლუდის ბოთლი 10 კ., შამპანიურის ბოთლი 12 კ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გაახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიიტანიებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება. ბურახი შეინახეთ ცივათ, გაძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ ბურახი ტკბილი და შუშხუნაა — შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაჟრდება. ბურახი (კვასი) ერთნაირი კეთდება თუ უვარგისობით განსხვავება ნახოთ, მოსთხოვეთ მომტანს პასუხი, რადგან ჩვენ იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის ბურახს (კვასს).

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა
12—12 **გამგეობა.**

---

ყველასაგან ცნობილი საუკეთესო

## აბრეშუმის თესლი

### ძმ. პასხალიდებისა

მიღებულია განსაზღვრული რაოდენობით. თესლი შემოწმებულია და ზედ დასმული ოსმალურსა და ფრანგულ ენებზე წარწერით: **ხ. ხრისტოდულიდისა.** ვისაც სურს შეიძინოს, მიმართონ: ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე სასტუმრო ერმიტაჟში.
115 4—321—1

---

**ექიმი ი. ჩარეძოში** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევანოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

---

**ექიმი მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87.
14 თ.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი
2 თ.

---

ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა თანახმად წესდების მე-13 მუხლისა, აცნობებს ბ. ბ. წევრებს, რომ წევრთა წლიური

## საზოგადო კრება

დანიშნულია შაბათს, 2 აპრილს 1916 წ. საღამოს 7½ საათზე თეატრის დარბაზში. კანონიერ კრებისათვის საჭიროა გამოცხადდეს არა ნაკლებ ¼ ყველა წევრებისა. უკეთუ ამ რიგათ წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, თანახმად წესდების 14 მუხლისა მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად გამოცხადებული წევრების რაოდენობისა, შესდგება 6 აპრილს.

**განსახილველია:**

1. მოხსენება გამგეობის წლიური მოქმედების შესახებ. 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3. 1915—16 წლ. წლიური ანგარიში. 4. 1916—17 წლ. ხარჯთაღრიცხვა 5 ქართველ მსახიობთა ამხანაგობის 1915—16 წლ. სეზონის ანგარიში. 6. გამგეობის მოხსენება წესდების შეცვლის შესახებ. 7. გამგეობის მოხსენება კულტურულ საზოგადოებათა კავშირში ჩაწერის შესახებ. 8. სეზონი 1916—17 წლ. ზამთრის სეზონის შესახებ. 9. არჩევნები: — გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრებისა და 3 რწმუნებულის კულტურულ საზოგ. კავშირის კრებებზე. წესაწრებლად საწევრო გადასახადი თანახმად წესდებისა — 3 მანეთია. წევრად ჩაწერა შეიძლება მხოლოდ 2 აპრილს საღამოს 7 საათამდი. წევრთა ჩაწერა შეიძლება დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი. 3—3

---

## აბრეშუმის თესლი.

უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის სააბრეშუმო სადგურში. თესლი, ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ **ბადიჯ კოხერი.**
92 თ.

---

## ს./ს. ი. გოკიელის შვილების ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მივიღეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

### ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

---

**იყიდება** ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, კოფოვის სახლში №3
113 1—თ.

---

**ბეითალი** პ. ვ. ნეურონოვი ლებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

---

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალაქ) ვენერიულ და შინაგან ავადმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2.
11 თ.

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უკრის ყველას, უფასოდ ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

მასაჟით სამ.
კურნალი **კაბინეტი**
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სავჭიმო ვარჯიშობით, ვსპ
სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, პორულს მეტ სიწ
ლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავ
მყოფობას ამასთან ვუკეთებ ყვავილსაც და ავრ
ვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლ
ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუა
ლებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულია
აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერს
და სირბილეს. ავადმყოფების მიღება დილის 9—
2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და და
რიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა,
სახლი.
თ 3

## უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

ცნობები
პეტროგრადი. 31
ლებმა საარტილერიო
შემდეგ წინ წამოწევას
ლის სამხრეთ სახიდო
გრამ უკუ ვაგდეთ იაკობშტად
ნის რაიონებში საარტილერ
ნაროჩის ტბის დასავლეთით
თზე მტერმა ცხარე ბრძოლა
მდეგ მოკრიცის ხაზით წინ წ
და, მაგრამ იგი არტილერი
ჩქაროდ უკუვაგდეთ.

**კავკასიის ასპა**

ოსმალნი შეეცადენ ახალ
დაჭერას, მაგრამ ამათო. ბრძ
მტერი შხამიან სითხეს ხმარო

---

დანარჩენი დეპეში იხილეთ მე-4-ე გვე

## ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ბალკანეთში.**

— ბულგარეთის ჯარი, რომელი
ლა რუმინიის საზღვარზე დგას, 30
კაცისგან შესდგება.

— საბერძნეთის ყოფილი მთავარ
ნისტრი, ვენიზელოსი ახლა მოკავ
თა მხარეზე აშკარათ გამოდის და მ
ხოვს, რომ მთავრობამ მოკავშირეებ
შეთანხმებით ბულგარელ გერმანელთა
დაკავებულ მაკედონიის მცხოვრებთა
ტერესები დაიცვას.

— ბულგარეთ რუმინიის საზღვრ
გალვიცის ჯარის ერთი ნაწილი შეამჩნ

— ნახევარი ხორბლის იმ რაოდენ
სა, რომელიც ამას წინათ გერმანია
მინიაში შეიყიდა, უკვე გატანილი
მეორე ნახევარიც ახლა გააქვთ საჩ

**არეულობა გერმანიაში.**

თუ სტოკჰოლმიდან მოსულ ცნობებს
დავუჯერებთ გერმანიაში ამ ჟამად ყველ
გან დიდი არეულობა ხდება კორესპონ
დენტის გადმოცემით ასეთი არეულო
ვითომ სოციალისტთა შორის ჩამოვა
ღნილმა უთანხმოებამ გამოიწვია. სოც
ლისტების ერთმა ნაწილმა ხალხი ა
რა მთავრობის წინააღმდეგ და ზავ
მოგდება მოათხოვნინათ ასეთ მოი

# მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი)

მდგომარეობა იგივეა.

**იისა და ოსმალეთ სპარსეთის ფრონტზე** რუსეთის ჯარი ახლა ველეთით წავიდა წინ; ხოლო ბითლისის რაიონში ოსმალებმა რუ- მეჩერება შესძლეს და იერიშების მოტანა დაიწყეს, მაგრამ უკუ-

**მანიის ასპარეზზე.** საყურადღებო არაფერი მომხდარა: ჩვეულე- ერით ბრძოლას და ადგილების დაზვერვას განაგრძობდენ.

**ეთ.ბელგიის და გერმანიის ფრონტზე** ბრძოლა თითქო ისევ შე- გის ასპარეზზე სიწყნარე ჩამოვარდა. საფრანგეთის ხაზზე აქა—იქ სა- ბრძოლას აწარმოებენ. მხოლოდ ისევ **ვერდენთან** განაგრძობენ იერიშებს, თუმცა უკანასკნელი ცნობით ბრძოლა თითქო აქაც დასცხრა: ერმანელნი ახლა ისევ ახალი ძალების შეკრებას სცდილობენ, რომ კვლავ და შეუდრეკელი იერიშები განაგრძონ. გამოირკვა, რომ მდ მაასის ჩრდი- ლოეთის მხრით მდებარე რაიონები, მალენკური და ბტოენკური ორივე ერთა ხელშია. დეპეშით ნათქვამია უკანასკნელ დღეს გერმანელები მორ ომე? ხელშია. ... მაშასადამე, მათ ისეთი მაღლობი უჭი- ჭერილის უშენდენ ზარბაზნებსო. მაშასადამე, მათ ისეთი მაღლობი უჭი ომელიც მორტომს ზევიდან დაჰყურებს. ასეთი მაღლობი უნდა იყოს საიდანაც ახლა გერმანელები მორტომს ზარბაზნებს უშენენ. გერმანელები ბს უშენენ აგრეთვე №305 სიმაღლეს, რომელიც ენის სიმაგრეების რაი- ნის, გერმანელები აქაც წინ წამოსულან. ახლა უკანასკნელ მომენტში ს აღმოსავლეთ მხარეზე ფრანგთა პოზიციებს მხოლოდ კანტიკუნტათ უმბარებს გერმანელები.

**ა ფრონტზე** საყურადღებო არა მომხდარა რა.

და ზესაფერ პროპაგანდა აგი- ეწევა ს. დ. მთავარი ორგანო ტი". ხალხი ამხედრდა აგრეთვე აკლებობის გამო და ქალაქების თავდლობას სიმშილობის თავიდან მლად შესაფერი ზომების მიღება

**დგომარეობა ოსმალეთ რუსეთის ფრონტზე.**

რუსკოე სლოვოს" სამხედრო ველი მიხაილოვსკი სწერს: ოსმა- შველი რაზმების დასმარებამ დი- ნხვა და საშუალება მისცა რუ- ის წინ სვლისათვის სასტიკი ეგრობა გაეწია. ახლა რუსეთის თ ხაზზე შედგა, მაგრამ ეს იმდე- ლითა ჯარების ძლიერებას არ მი- რამდენათაც უგზოობას ოსმა- ჯარების გადაყვან-გადმოყვანას და ერთდებას უმთავრესათ უგზო- [illegible] ქვეყ- უძლიათ ჯარები ამოძრა- დ ამ ქალაქამდის არის ირად რუსეთის ჯარიც იან ჩქარი ნაბიჯით წა- ელდავათ ამისა მას დღეს ღი ხელთ უპყრია და კავკა- ბი საბოლოოთ უზრუნველ

**ბა დვინის ფრონტზე.**

ილიდი" სწერს: როგორც ჯარის აქა იქ დვინაზე და

ყებულმა შეტევამ გერმანიას ხელი გამოაღებია და მიზეზი მისცა, რომ ამ ფრონტზე ძალები გადმოეყვანა არა მარტო შინაგან, არამედ თვით რუსეთის ფრონტის სამხრეთის ზოგ ნაწილიდანაც კი. ჰინდერბურგი რომელიც ზემო ხსენებულ ფრონტზე გერმანიის ძალებს ხელმძღვანელობს, თავის მარცხენა ფრთას აძლიერებს და სურს, რომ რუსებისგან წაღებული ზოგი პოზიცია ისევ უკანვე დაიბრუნოს. ამასთან ჯერ კიდევ იმას ფიქრობს ვა თუ რუსებმა შემოტევა ისევ დაიწყონო ამიტომ მათ ფრონტზე მაშველი რაზმების დენა კიდევ გრძელდება. ჰინდენბურგი ახლა ჩრდილოეთის ფრონტს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და იქედან დიდ ამბებს მოელის საზოგადოთ გერმანია რუსეთის ფრონტზე სამხედრო ავტორიტეტების ცნობით ამ ჟამად მომავალი გადამწყვეტი ბრძოლა არა ჩვეულებრივი ენერგიით მზადდება და ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ გაჩენილი სიძლიერით დაიწყება მაშინ როცა კლიმატიური და ტოპოგრაფიული პირობები ამას ნებას მისცემენ ჯარებს.

### არეულობა ბულგარეთში.

„ვეჩერნეე ვრემიას" გადმოცემით ფრანგული წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთის ქალაქში ფილიპოპელში დიდი არეულობა მოხდა: სურსათის ნაკლებობითა და გაძვირებით მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა ქუჩებში არეულობა დაიწყო.

მთავრობამ ჯარს მიმართა და მისი საშუალებით ამხედრებული ხალხი ,,დააწყნარა'', ბევრია დაჭრილი და მოკლულიც

### გერმანიის ს. დ. შორის.

გერმანიის ს. დ. შორის უთანხმოება თანდათან მწვავდება.

რეიხსტაგის-ფრაქციაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებშიაც გამწვავდა. ოპორტუნისტული ნაწილი პარტიისა სცდილობს, რომ რეიხსტაგის ახალი ს. დ. მუშათა კავშირის ფრაქციის წევრები სხვა პარტიულ ორგანიზაციებში შეავიწროვოს. მაგალითად ამის გამო პარტიის მთავარ ორგანოში, ,,ფორვერტში'' კონფლიქტი გაჩნდა. რედაქციას უნდოდა ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარის ჰააზეს მოწოდება მოეთავსებია გაზეთში, მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძანებით მუშებმა მოწოდების აწყობაზე და დაბეჭდვაზე უარი სთქვეს.

კომიტეტში მაშინვე კითხვა დაისვა: აქვს უფლება „ფორვერტს" მას შემდეგ, რაც მან ახალ ფრაქციას (უმცირ.) თანაგრძნობა გამოუცხადა, რომ პარტიის ცენტრალურ ორგანოთ იწოდებოდეს, თუ არა?

# ქრონიკა

რუსეთი.

### მ. მ. კოვალევსკი ეზიარა.

როგორც მკითხველმა იცის ამ დღეებში გარდაიცვალა მთელ ევროპასა და რუსეთში ცნობილი მეცნიერი სოციოლოგი მ. მ. კოვალევსკი. თითქმის მთელი ნუმერი უძღვნეს მოსკოვის გაზეთებმა მის ხსოვნას. მისი ცხედრის გასვენება დაკრძალვის ამბები ვრცლად აგვიწერეს ,მაგრამ ყველაზე უფრო მკითხველის ყურადღებას პროფესორის ზიარების ამბავი იპყრობს. ამაზე მოსკოვიდან დეპეშით შემდეგ საყურადღებო ცნობას იტყობინებიან. მღვდელმა, რომელმაც მ. მ. კოვალევსკი აზიარა, განაცხადა რომ კოვალევსკიმ ზიარების დროს მითხრა. „მე დავიქანცე და დედასთან მინდა წავიდეო". „დედა", მან, განმარტავს მღვდელი, „დედა—ეკლესიას" უწოდაო. ამავე მომენტზე კოვალევსკის პირადი მდივანი შემდეგს სწერს: კოვალევსკიმ მკითხა: ბევრი მლანძღ[illegible] განა მეგობრებმა მღვდლის მოყვანისათვის და ზიარებისათვის მე ვუპასუხე: „არა" მაშინ კოვალევსკიმ თავისი საქციელი ასე ახსნა: „ამაზე ნუ შეწუხდებიან: მე ეს დედის ხათრით ჩავიდინე„. აქ მას არც საიქიოზე და არც ეკლესიაზე სიტყვა არ უთქვამს.

### გრაფი ბობრინსკი და სახელ. სათათბირო.

როგორც მკითხველმა იცის სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე გრაფი ბობრინსკი ამ დღეებში უმაღლესმა მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ მიიწვია ახლა მოსკოვიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მას მეხუთე სახელ. სათათბიროს არჩევნების კამპანიის მოწყობა მიანდვესო. პროგრესისტთა ბლოკის შედგენის შემდეგ მთავრობას უნდოდა სახელ. სათათბირო სულ დაეთხოვა და ახალი არჩევნები დაენიშნა, მაგრამ მაშინ როგორღაც შეჩერდენ და სათათბირო არ დაითხოვეს. ახლა საზაფხულო არდადეგები ახლოვდება და სათათბიროსაც ვადა უთავდება. ამიტომ საჭირო შეიქნა, რომ საარჩევნო კამპანიას ნიადაგი დაუმზადონ, რასაკვირველია, თავის სასარგებლოდ. აი, ამ მიზნით მიიწვიეს გრაფი ბობრინსკი, მისი დანიშნულება მხოლოდ დროებითია.

## უაღრესი უსამართლობა.

უაღრესს უსამართლობათ უნდა ჩაითვალოს ის განგაში, რომელიც ასტეხეს ფეხმოკლე და ენა პრტყელმა ფედერალისტებმა სახალხო უნივერსიტეტის არჩევნების გარშემო.

ჯერ ერთი, ტყუილია, თითქოს სამი ჯგუფი შეთანხმებულიყოს ფედერალისტთა წინააღმდეგ და თუ მესამე ჯგუფიდან, ვინც კი დაესწრო კრებას (5 – 6 კაცი) მიემხრო ფედერალისტთა მოწინააღმდეგეთ, ეს აიხსნება იმით, რომ ყველასთვის აშკარა გახდა, რას წარმოადგენს მათი სოციალიზმი და მათი ფედერალიზმი, ყველას თავი მოაბეზრა მათმა სურვილმა უპარტიო საქმეშიაც კი პარტიობისა და შენ ჩემობის გამეფებისამ.

სანამ სახალხო უნივერსიტეტში მოხდებოდა არჩევანი, ქალაქ ქუთაისში სამმა საზოგადოებამ აირჩია თავისი სამ-სამი წარმომადგენელი კულტურულ კავშირისათვის და 9 კაცში არც ერთი არ არის არა სოც.-ფედერალისტი.

თავისი რომ გაეტანათ, ეს ვაჟბატონები შემდეგ უმგვანო საშუალებასაც კი მიმართავდენ ხოლმე: ,,სინათლის'' საზოგადოებაში ამტკიცებდენ წარმომადგენლები კავშირში უსათუოდ გამგეობის წევრები უნდა აირჩიოთ, მათ უმუშავნიათ და ეხლა სხვისი გაგზავნა მათთვის შეურაცხყოფა იქნებაო, ხოლო ღარიბ-მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებაში ისეთი პატივსაცემი ადამიანიც კი გააშავეს, როგორიც არის ეკატერინე ნიკოლაძის ასული და რომელიც დღიდან დაარსებისა დასახელებულ საზოგადოებაში მუშაობს *)

მესამე საზოგადოების კრებაზე (ეთნოგრაფიულ-ისტორიულ) [illegible] წევრმა, სწორედ [illegible] უარი განაცხადა წარმომადგენლად წასულიყო. აი, აქ მაინც შეიძლებოდა ფედერალისტებს აერჩიათ წარმომადგენლი რომელიმე სხვა ჯგუფიდან, მაგრამ დარაზმულმა ფედერალისტებმა გააშავეს სხვები და გაიყვანეს თავისიანი.

ამის შემდეგ რა პირით და გვიკიჟინებთ ჩვენ: „ჯიუტობას, გულღვარძლიანობას, პარტიულ თავშეუკავლობას და საქმის დამღუპველ ქიშპობას?! აი, ამას ჰქვიან: „ჩემი შენ გათხარ, გული მოგიკალო".

განსაკუთრებით ააფთრებს ჩვენს მოწინააღმდეგეებს არჩევნების შესახებ სოც. დემოკრატებისა და ნაციონალ-დემოკრატების შეთანხმება. ასეთ შეთანხმებას ორივე მხარისათვის სამარცხვინოთა და არაბუნებრივად სთვლიან.

რათა?

ფედერალისტებმა თვითონ მიმართეს თავისი გაზეთის საშუალებით სოციალ დემოკრატებს: შევერთდეთ ამ არჩევნებისთვის მაგრამ უკანასკნელთ ეს არ ინდომეს და არ ინდომეს იმიტომ, რომ სოციალ-ფედერალისტებს საკმაო რიცხვი წარმომადგენელთა უკვე ჰყავდათ "კულტურულ კავშირში და რაღა დახმარება ეჭირებოდათ?

კულტურული კავშირი ფედერალისტთა საერთო კრება ხომ არ არის, რომ ყველა მათი იყოს. როგორც სოციალ-დემოკრატებს, ისე ჩვენ გვსურს ყველამ მიიღოს იქ მონაწილეობა. ეს ჩვენ დავამტკიცეთ და გაცალეთ, სანამ კი შეიძლებოდა. აწ კი ნურას უკაცრავად! თქვენი წარმომადგენელი 9 არის; ჩვენ რომ სამ-სამი გვეყოლოს, მგონი, ცოდვად არ ჩაგვეთვლება და უსამართლობა არ იქნება თუნდაც „სინათლის" საზოგადოების წარმომადგენელნი უკანვე დააბრუნონ, არჩევნების უკანონოდ მოხდენის გამო, თქვენ ფედერალისტებს, იმდენი კაცი გეყოლებათ კავშირში, რამდენიც ორს ჯგუფს. საკმაოა ამის ღირსი არც გავლენით და არც რიცხვით არა ბრძანდებით

უკანასკნელად უნდა მოგახსენოთ: არაფერი სამარცხვინო არ არის ორი იდეური და პოლიტიკური მოწინააღმდეგე შეერთდეს, რათა უხეშსა და უმართლო ქცევას წინ აღუდგეს. ერთმანეთისთვის არაფერი დაგვითმია; ერთმანეთს არაფერი დავპირებივართ. ჩვენ მხოლოდ ამ ჟამად გვაერთიანებდა სურვილი კულტურულ კავშირში არჩევნების დროს სოციალ ფედერალისტთა მონოპოლია დაგვემხო. თქვენ ერთა სოლიდარობისათვის მთელ მაზრებს აჩუქებთ მეზობლებს და რამ გაგაბრაზათ ისე, რომ ჯგუფთა სოლიდარობისათვის, საქმის მოწესრიგებისათვის ერთი ხმა კავშირში შეგვშურდათ?

ასოთ ამწყობი.

---

*) სხვათა შორის, ეკ. ნიკოლაძის ასული იმიტომაც არის დასაქოლავი, რომ იგი ნიკო ნიკოლაძის და არის.

---

## ა ჟურნალი.

—გაზ. „შრომის" თანამშრომელთა

ს. იხ. „სამშობლო" № 324.)

IX.

მაღ ჩემგან აღსარებულ დებულე- ამ მიზეზების გამო, რომელნიც ლნიშნე ამ ჩემს წერილე- ბს ახალგაზრდა კალმოსნებს ყოვე- ყურადღებით ვექცევი ხოლმე, თუ ნაწარმოებნი ელემენტარულ მო- ხოვნებს მაინც აკმაყოფილებენ და როგორც რთული ცხოვრების ერთის, მეცნიერ კვანძის გამოხსნას მაინც ობენ.

არ არის, რომ ასეთ სალიტერატუ- რო ადან შემოქმედებამდე დიდი მა- და ასეთ მოვარჯიშეთ ხელოვან ვერ დავუძახებთ, მაგრამ ეს მო- ენი აგროვებენ ერთგვარ მასალას, „წვრილმანს", რომლის მეოხე- შეიძლება შემდეგში აშენდეს ის ავი შენობა, რომელსაც განვი- ლი მწერლობა ჰქვიან, და რომე- რლობის შენობაც დაგვინგრია ულ- შეუბრალებელმა დროთასვლამ არიულმა ქარიშხალმა! ამიტომ, რომ, უყურადღებოდ არ უნდა ხოლმე არც ერთი დაბეჭდილი ები სიტყვა-კაზმული მწერლობისა, ლი მათგანი დასტამბვისა-თანავე წონ-დაიწონოს, დაირკვეს და და თავის ადგილას.

როც კარგი მიწის-მუშა პირნახუ- ეწევისა, ან სიმინდის დაცხების [illegible] თუ სიმინდის მარცვლებს და დიდხანს დაჰყურებს მათ ღირსების შესაფასებლად, ისე მწერლობის მოყვარულმა, უყურადღებოთ არ უნდა დასტოვოს არც ერთი „მარცვალი" სალიტერატურო ხვავისა და ერთგული მზრუნველივით უნდა გადაარჩიოს ჰვავი ცალკე და დიკა ცალკე!

მხოლოდ ერთგულება ქართულის მწერლობისა, ყურადღება ქართველ მწერლებისადმი და მუდმივი დარიგება და მზრუნველობა შექმნის ჩვენში სასარგებლო და სასურველ „მიმართულებას" მწერლობაში; მხოლოდ სამართლიანი დაფასება, დაფასება არა სუბიექტიური, არა პირად მოწონება-დაწუნებაზე დამყარებული, არამედ დაფასება ობექტიური, მეცნიერებისა და საერო, საქვეყნო თვალსაზრისით გაშუქებული, გაწრთვნის და აღზრდის ნამდვილ მწერლებსა და ნამდვილ მწერლობას.

მე ვგრძნობ, რომ ბევრი ეგრედ წოდებული „ნაფიცი კრიტიკოსი", ბევრი ეგრედ წოდებული „განდიდებული მწერალი", ბევრი ეგრედ წოდებული „შესმენილი და გალაღებულ გამძღარი (მაპატიეთ ასეთი არაპოეტური სიტყვისათვის) მკითხველი", ბევრი ეგრედ-წოდებული „ერთგული წევრი ამა თუ იმ პარტიისა", ბევრი ეგრედ წოდებული ქართველი „ფილოსოფოსი და თანამედროვე ევროპის მეცნიერებაში გაწაფული" გაიცინებს და საჯაროთ, თუ არა, თავის გულში მაინც ჩაილაპარაკებს — აი, სულელი! არა სცოდნია, რომ პირობები ჰქმნიან მდგომარეობას და დრო წარმოშობს მოთხოვნილებას. რაც დღეს კარგია, ხვალ ის აღარ ვარგა და რაც დღეს საუკე[illegible] ზნეობად მიაჩნია, ხვალ სასაცილოდ [illegible]

ახლავე ვეთანხმები ყველას, ახლავე აღვიარებ, რომ იგინი მართალნი არიან თავის გულის თქმაში, თუ კი უცილობელ, აბსოლიუტურ ჭეშმარიტებად აღვიარებთ, რომ ,,ჰომო ჰომინი ლუპუს ესტ'', ესე იგი თუ ,,მარადიულად'' (ბ ნ რობაქიძის ენით რომა ვსთქვათ) კაცი კაცის მგელია. მაგრამ, მე ცოტა სხვა აზრისა გახლავართ და გთხოვთ მომისმინოთ:

— თქვენ, ბატონნო ნაფიცნო კრიტიკოსნო, თქვენ ბატონნო ,,პარტიის ხალხნო'', თქვენ ბატონნო ჭკვიანნო და მეცნიერნო, თქვენ ბატონნო ხელმძღვანელნო და მათნო ყურმოჭრილო ყმანო, თქვენ ყველა ჯურისა და ყალიბის სოციალისტნო, თქვენ ყველა ღირსების ჩინოსანნო, თქვენ ყველა ხარისხის ბურჟუებო, თქვენ ყველა მდგომარეობის ჩარჩებო და მეწვრილმანებო, თქვენ ყველა წოდებისა და საფეხურების შვილნო და თქვენც მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო, მე არა მრწამს, რომ კაცი მხოლოდ კაცის მგლად იყოს გაჩენილი!

მას შემდეგ, რაც ოთხფეხი პირუტყვი ადამიანად გადაიქცა (ჰკითხეთ დარვინს და თუ გნებავთ, ნურც დაუჯერებთ!) მას შემდეგ, რაც ამ პირუტყვმა ენა ამოიდგა, მას შემდეგ, რაც ამ მეტყველად ქცეულმა ნადირმა თავისი თავი წარმოიდგინა „სახებად და ხატებად" ღვთისა, მას შემდეგ, რაც ბუნების წიაღიდან გამოსული მატლი იგი შინამ ცოცხალია, ბუნების მადლათა და მბრძანებლად გადაიქცა, ერთადერთი შეურყეველი და აბსოლიუტური ჭეშმარიტება ის არის, რომ კაცს, ადამიანს აქვს მისწრაფება დაუსრულებელ გაუმჯობესებისადმი, დაუსრულებელ, უკვდავ განკარვებისადმი.

მისე წინასწარმეტყველის მოწმობით, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, იმ დროს, რომლის სიღრმეს ადამიანის გონება ვერასოდეს ვეღარ მიუბრუნდება, მაშინდელმა ხალხმა მოინდომა უმაღლესი გოდოლის აშენება, მოინდომა ასულიყო ცაში და იქ ღმერთს გამოლაპარაკებოდა.

იმ დღიდან ამ დღემდე კაცობრიობა აშენებს ამ კოშკს და მე ღრმათა მრწამს, რომ ააშენებს კიდეც! ესე იგი, ადამიანი დასთრგუნავს მხეცურ მხარეს თავისი ბუნებისას და გაუთანასწორდება ღმერთს, ამ ყოვლად შემძლებელს, ყოვლად მოწყალე, ყოვლად სამართლიანს, ყველგან მყოფს და ყველაფრის მცოდნე არსებას, — ნაყოფს თავისის შემოქმედებისას და საშოს თავისის აღმაფრენისას.

აი, ამ რწმენისა, რომ გახლავართ, მეც მწარედ მეცინება თანამედროვე ჩვენს, — ქართველების — ბობოქრობაზე, მეცინება, იმიტომ რომ ჯერ კიდევ ვერ დაგვიღწევია თავი ჩვენის ველურის ბუნებისათვის და ყოველივე მოძღვრებას, ყოველივე გამოგონებას, ყოველივე იარაღს, ყოველივე ცოდნასა და სწავლას, ყოველივე გამოცდილებასა და გაკვეთილს თითოეული კლასი, თითოეული ჯგუფი, თითოეული წრე, თითოეული პატრონი, ამა თუ იმ იარაღს ხმარობს მხოლოდ თავის გასაბატონებლად, თავისს კლასიურისა, თუ პირად ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ასეთ პირობებში, ჭეშმარიტად, ,,გარემოება ქმნის მდგომარეობას'', მაგრამ განა ადამიანი მარტო მორჩილებისა და სხვის ნების-ყოფის აღსასრულებლად არის გაჩენილი?

თუ დავემყარებით მარტო ხორციელს (მატერიალურ) მხარეს ცხოვრებისას, ეს ასეც არის.

როგორც წარსული, ისე დღევანდელი ცხოვრება მოწმობს, რომ ძალის მქონებელი — სულ ერთია მთავრობა იქნება იგი, რომელიმე კლასი, თუ რომელიმე „პარტია" — ყოველთვის ბატონობს ხოლმე, მაგრამ ადამიანს, — რაკი იგი გამოვიდა პირუტყვის კანიდან — ხორციელი მოთხოვნილების გარდა, აქვს კიდევ სულიერი მოთხოვნილებაც, რომელ მოთხოვნილებასაც ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ასე რომ არ იყოს, მაშ, რად წარმოუდგენია კაცობრიობას ღმერთი, რად შეუქმნია საიქიო და სააქაო, რად შეუქმნია პროზა და პოეზია, რად შეუქმნია პრაქტიკა და იდეალი?!.

როცა ამას ვამბობ, პირადად მე ძალიან შორსა ვარ იმ აზრზე, ვითომ აქ, სააქაოს, უნდა ავიტანო ყოველივე გაჭირვება და საიქიოს მომეცემა-მეთქი ყოველივე სიკეთე; ან აქ სააქაოს მშიერი უნდა მოვკვდე და იქ, საიქიოს ყაბლუფლავები მომერთმევა. არა!

პირიქით. პირადად მე სრულიად სხვა შეხედულებისა გახლავართ საიქიოზე: მოვკვდები, დამმარხავენ, ფარისევლურ ცრემლებს დაღვრიან ჩემი „მეგობრები", დამივიწყებენ ჩემიანებიც (ისე, როგორც მე თვითონ და ყველა ჩვენთაგანს დავიწყებული გვყავს დიდი ხნის გარდაცვალებულნი მამა და სხვა ნათესავები), საფლავი ჩემი დაიტკეპნება, ამოვა ბალახი, ერთს მშვენიერ დღეს მოვა ძროხა, ხარი, ან თხა საფლავზე და მოსძოვს ამ ბალახს, შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ, ის საფლავი, რომელზედაც მე ვიქნები დამარხული გადათხარონ კიდეც, გააშენონ ბაღი, ან რომელიმე „ბურჟუას" სასახლე და ჩემი [illegible] ძვლები [illegible]

# ქართული პრესა.

ჩვენ არ ვიცით, რამდენი ხნის სიცოცხლე აქვთ ჩვენებურ „სოციალისტ ფედერალისტებს", მაგრამ კარგი დღე რომ არ ადგიათ, ეს იმ შხამიდანა და დაბრმავებიდან სჩანს, რომელ შხამსაც ანთხევენ ჩვენ წინააღმდეგ და რომელ სიბრმავესაც იჩენენ ეროვნულ-დემოკრატების დაფასებაში

თუ არა სიბრმავით, მაშ, რითი აიხსნება „სახალხო ფურცლის" ასეთი ბოდვა ნაციონალ-დემოკრატების შესახებ:

რა აკავშირებს, რა აზიდავს ერთმანეთისკენ სოციალ დემოკრატებსა და ნაციონალ დემოკრატებს? ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ მათი დამაკავშირებელია გადაგვარებული ფსიხიკა. უმთავრესი მასსა კერძოდ წოდებული ნაციონალ დემოკრატებისა ეროვნულ-პოლიტიკურად გადაგვარებული ელემენტებისაგან შესდგება.

(ოლოლო თქვენ, ბატონო ფედერალისტებო! მეპრ.)

მათი ფსიხიკა ეურჩება, მთელი მათი გადაგვარებული ბუნება ეწინააღმდეგება რადიკალურ ეროვნულსა და პოლიტიკურს აზროვნებას.

(იქნება ის არის რადიკალური პოლიტიკა, რომ საქართველოს ნახევარზე ხელს იღებთ, ბ. ფედერალისტებო!).

მათი პროგრამაც და ფსიხიკაც ზომიერია არსებითად მათი პრაქტიკული საქმიანობა მხოლოდ „პატარა საქმეებით" შეძლება განისაზღვრის —

(თქვენმა დიდმა საქმეებმა ხომ ააშენეს საქართველო!).

ეს ის ხალხია, რომლისთვისაც აღარ არსებობს რწმენა საქართველოს პოლიტიკური განახლებისა.

(მისამართი შეგეშალათ. ჩვენთვის არ არსებობს რწმენა მხოლოდ ფედერალისტებისადმი)

განა ჭკუათა მყოფელი გაზეთი დასწერს ით სისულელეს.

ქათამი რა არის, ქათამი, — ისიც კი ალს რომ დალევს ხოლმე, ღმერთს შე დავს და ჩვენი ფედერალისტები კი იმ ნად გაფუტურისტდენ, რომ ქათმის ენა მოსაზრებაც კი აღარ შერჩენიათ. ისიც კი ვერ წარმოუდგენიათ, რომ ალხილული ადამიანისათვის ღამე ყო ლთვის შავია სულ ერთია თვალხი ული იგი სოციალ დემოკრატი იქნება, ნაციონალ დემოკრატი!

მხოლოდ ფედერალისტები ველარ ხედ ამ შავ-ღამეს თავის **უსამართლობას, ავის არადემოკრატიულ საქციელს** პირ აქეთ ჩვენ გვედავებიან!

უთათურმა ფედერალისტებმა გადასწყვიტეს არც ერთ არჩევანში არ გაეყვა ნაციონალ დემოკრატები და ეს კიევაც მოახერხეს სამ ადგილას ასეთმა ამა საქციელმა ყველა არა-ფედერალისტი ააღელვა და გადასწყვიტეს ჭკუა ესწავლებინათ მათთვის.

ეს იყო და ეს. აქ პარტიულ კავშირს ადგილი არა ჰქონია. ეს იყო უბრალო შეთანხმება სწორედ დემოკრატიულ პრინციპის დასაცავად და სხვა არაფერი!

მაშ, რა მოხდა ისეთი, რომ ფედერალისტები ასე უდიერად მსჯელობენ და მოქმედებენ!

ჩვენ გვგონია, ფედერალისტების ასეთი დაბრმავება აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ მათი უალრესის გაბოროტებით!...

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი პოლკოვნიკი ვენცელი გუშინ, დღის 11 საათის მატარებლით გაემგზავრა თბილისს, საიდანაც არზრუმს წავა. მის მოვალეობას დროებით შეასრულებს გუბერნატორის უფროსი მრჩეველი ი. ნ. აკიმოვი. ვიცე გუბერნატორს თან გაჰყვება გუბერნატორის კანცელარიის უფროსი საქმის მწარმოებელი ს. ა. ივანოვი. ქუთაისის ვიცე-გუბერნატორათ ინიშნება გრაფი ოლსუფიევი.

◆ ქუთაისის სახელმწიფო დაწესებულებს ყველა მოხელეს აპრილის თვის ჯამაგირი, დღესასწაულის გამო, მიეცემათ 4 აპრილს.

◆ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული გვქონდა, რომ კვირას ქალაქის თეატრში გაიმართება ქალთა საზოგადოების წევრთა კრებაო. ახლა როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, პოლიცმეისტერს ნება არ დაურთავს.

◆ ბათომის ქალაქის თვითმართველობას, ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დეპეშით სთხოვა შეატყობინოს, ეძლევათ თუ არა ბათომის თვითმართველობის მოსამსახურეთ ხუთი წლის ნამსახურობისათვის მომატებული ჯილდო.

◆ კვირას, 3 აპრილს, დღის 12 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ბავშთა სამზრუნველო საზოგადოების წევრთა არაჩვეულებრივი კრება. ამ კრებაზე აირჩევენ სამს წარმომადგენელს საქართველოს კულტურულ დაწესებულებათა კავშირში მონაწილეობის მისაღებათ კრებაზე ხმის უფლება მიეცემათ იმ პირთაც, რომელნიც მოისურვებენ საზოგადოების წევრთა ჩაწერას და საწევრო ფულს, 3 მ, 12 საათამდე შემოიტანენ.

◆ ქუთ გუბერნატორის კანცელარია ამ დღეებში გადავა ახალ ბინაზე, სადაც ამჟამათ იმყოფება საგუბერნიო საბეგრო საკრებულო.

◆ წვრილი კრედიტის ამხანაგობათა სარევიზიოთ ჩამოსული ბ. ვასილიევი გუშინწინ უკვე გაემგზავრა თბილისს.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ს. დარჩელის (ზუგ. მაზ) 2 კლ სასწავლებლის მასწავლებელს ლავრენტი ნ. საჩაიას გახსნას დ. ზუგდიდში კიოსკი, სადაც გაიყიდება სხვადასხვა ჟურნალ გაზეთი და წიგნები,

◆ ხუთშაბათს, 31 მარტს, დანიშნული იყო ქუთაისის ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, მაგრამ, წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, არ შესდგა. ხელმეორე კრება დანიშნულია 17 აპრილს. წესდების ძალით კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

◆ სრულიად რუსეთის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ ნდობის საზოგადოების გამგეობა სთხოვს ქუთაისის განყოფილებას გაუგზავნოს თავისი კანდიდატი ცეცხლის მქრობელი რაზმის სატეხნიკო სასწავლებელში შესაყვანათ, რომელსაც ეს საზოგადოება დაუნიშნავს სტიპენდიას ორი წლის განმავლობაში

◆ ორშაბათს, 4 აპრილს, დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.

◆ ბათომის ქალაქის მოურავობაზე თბილისის ქალაქის გამგეობის წევრმა გ. ჟურულმა უარი განაცხადა.

◆ გუშინ, ქალაქში ყიდდენ სურათებს ომში გაწვეულ ოჯახთა დამხმარე საზ ფონდის სასარგებლოთ

◆ იპოლიტე ჯიბლაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას ბალახვანის ქუჩაზე უპოვნია წმ. გიორგის ჯვარი (მეოთხე ხარისხისა) დამკარგველს შეუძლია მოიკითხოს ხარაზოვის ბაღთან გოგოლაშვილის სახში იპ ჯიბლაძესთან.

◆ გუშინ, 1 აპრილს, ვიღაც ქვიტირელ გლეხს ბაზარზე გასაყიდათ ჰქონია შემოტანილი კალათით 300 კვერცხი. ჯარის კაცმა მოსთხოვა მიეყიდა ნიხრის მიხედვით. რასაც გლეხი არ დასთანხმდა. საქმე პოლიციის ყურამდის მივიდა, დარაჯმა გლეხი უბნის ზედამხედველთან წაიყვანა თავისი კვერცხებიანათ ბოქაულმა ბრძანება მისცა დარაჯებს გლეხისათვის ძალდატანებით ტ ნიხრის მიხედვით გაეყიდვინებიათ კვერცხი. გლეხმა ამ განკარგულებაზე შენიშნა: თუ კი ვაჭრებს ნება აქვთ 8 კაპიკიანი ჩითი ორ აბაზათ გაყიდონ, განა ჩვენ არ გვაქვს უფლება ჩვენ საქონელსო ვუაროთ? ტიტველი ხომ ვერ ვივლითო? რადგანაც პოლიცია მაინც ძალას ატანდა, გლეხი მოთმინებიდან გამოვიდა და 300 კვერცხი სრულიად დაამტვრია. — თუ ჩემი საქონლის გაყიდვის უფლება არ მაქვს, დამტვრევას ხომ მაინც ვერ დამიშლიანო, სთქვა და გულდაწყვეტილი გაბრუნდა შინისაკენ.

## ს ო ფ ლ ა დ

— (რაჭის მაზრის) ს. ჩორდის მცხოვრებს კონსტანტინე გოგრიჩიანს და პარმენ მიკუჭაძეს თავს დაესხნენ ავაზაკები. პირველს წაართვეს 150 მან. მეორეს კი 120 მან. ავაზაკები მიიმალენ.

— დ. ყვირილის ვაჭარი მიხეილ სიხარულიძე დაინიშნა ყვირილის ციხის სამზრუნველო კომიტეტის თავჯდომარეთ

— (რაჭ. მაზრაში) ,,კუდის ბოლოში" ავაზაკები დაუხვდენ მგზავრთ ვასილ ჯუსაშვილსა და ანტ. ზესეშვილს და წაართვეს 200 მანეთი

# მ ო ს ა თ მ ე ნ ი ა?!

კაცობრიობის ისტორიაში ვერ იპოვით მეორე ხალხს, რომლის ისტორიული ცხოვრების დიდი ნაწილი იმ გვარ სულისა და გულის დამაღონებელ სურათს წარმოგვიდგენდეს, როგორსაც გვიხატავს ქართველი ერის ხანგრძლივი ცხოვრება. ვისაც შეუსწავლია ჩვენი წარსული, ვინც უკვირდება ეხლანდელ ჩვენს მდგომარეობას, ის, უეჭველია, დარწმუნებული იქნება, რომ ქართველი ერი ნამდვილ ტანჯვისთვის დაბადებულა და გაზრდილა. ვის გინდა არ ეტანჯოს იგი; ვის გინდა არ მიეყენებიოს მისთვის შეურაცხყოფა? ხან მონღოლების ულელქვეშ გმინავს ეს ერთი მუჭა ხალხი, ხან ოსმალოები ტ სპარსელები აწიოკებენ მას, ხან ლეკები დასეირნობენ თავისუფლად ქართველთა ტერიტორიაზე.. საქართველო გადადის ხელიდან ხელში საუკუნოების განმავლობაში უმკლავდება ეს პატარა ერი მოზღვავებელ მტერს... იბრძვის და იბრძვის, აქცევს სისხლს და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მიაქვს შეუბღალავად: სამშობლო, ენა და სჯული

ყველაფერს აქვს დასასრული!.. ხანგრძლივ უთანასწორო ომში ქართველი ერი დაიქანცა... დაქანცულისათვის საჭიროა დასვენება და ამ საშუალებას მიმართა მან. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველებმა თავი შეაფარეს ერთ მორწმუნე ერს. აქედან იწყება ჩვენი ერის ცხოვრებაში ახალი ხანა, რომელსაც შეიძლება დაერქვას ბედვა—მტერევის ხანა..

მართლაც და ამ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ დაიმტვრა და დაიბეჟა ჩვენში. მართალია, თემურლენგები და აღამაჰმადხანები აღარ აწიოკებენ ჩვენ ერს, აღარ დათარეშობენ ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ ერთი ჯურის ადამიანები, პირში ვითომ მოყვრები, ზურგს უკან კი ორმოს მთხრელები, ამ უკანასკნელ ხანაშიაც არა ერთი და ორი მოევლინა ამ ტანჯვისთვის გაჩენილ ერს. ბეჟვა და მტვრევა, მტვრევა და ბეჟვა ყველა იმ განძისა, რისთვისაც საუკუნოების განმავლობაში სისხლი უღვრია ჩვენ ხალხს. ჩემი წერილის მიზანს არ შეადგენს აღნუსხვა ყველა იმისა, რაც დაიბეჟა და გატყდა ამ უკანასკნელ ხანაში. მე დღეს მსურს მხოლოდ მივუთითო იმ სამწუხარო მოვლენაზე, რომელმაც თავი წამოყო ამ დღეებში და რომელიც ეხება ქართული ეკლესიის სვებედს.

დიდიხანია, რაც დაწყებულია ქართული ეკლესიის ბეჟვა-მტვრევა. დღესაც ბევრი „ჩვენი მოკეთე სთხზავს ათასგვარ პროექტს ქართული ეკლესიის შესახებ და უწმინდესი სინოდიც ორივე ხელით ართმევს მათ ამ პროექტებს და დიდის ყურადღებით არჩევ—აკანონებს. ამ გვარი პროექტი, როგორც მოეხსენება მკითხველ საზოგადოებას, ახლაც წარდგენილი ჰქონია სინოდს და ნაალდგომევს შეუდგება მის განხილვას

„საქართველოს საეგსარხოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფვის პროექტი უკვე დამზადებულია. მის განხილვას სინოდი ნაალდგომევს შეუდგება" ვკითხულობთ იმ დეპეშაში, რომელსაც ,,საქართველოს'' რედაქციას უგზავნის პეტროგრადიდან დ. ჭიაბრიშვილი.

კიდევ ერთი შეურაცხყოფა უდანაშაულო ერისა, იმ ერისა, რომელმაც დღეს დაუმტკიცა ზემოდ დასახელებულ პროექტის შემდგენელთა სამშობლოს თავისი ერთგულება, გადაუშალა თავისი გული, გაცნო თავისი არსება.

ივერიის ეკლესია ახალგაზრდა აღარ არის: ის დღეს მოხუცია, გაჭაღარავებულია.. მის მოხუც სხეულს შეურაცხყოფა არც შეშვენის, არც ეკადრება!.. ამ სხეული სადი აქვს დოსტაქარი რია და სხეულის რომელიმე ნაწი ლით მოჰრა დიდი შეურაცხ მისთვის, დიდი შეურაცხყო ვალტანჯულ ქართველი ერისათვ

სოხუმის ოლქი რომ ისტორ სარწმუნოებრივად და ყოველგვარ ვად' საქართველოს განუყოფელი ლია-ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მა მე, ამ ორგანიულად შესისხლხო ნაწილის ჩამოჰრა ხომ პირდაპირ თლობა იქნება, ეს ხომ ჩვენი შეურაცხყოფილი ეკლესიის კიდ სასტიკი დამცირება იქნება.

საკვირველია, ღმერთმანი, არა ვსთქვათ რა!.. რა დროს ამ ჩვენი ერისა და მისი წმინდათა წმი შემლახველი პროექტების წერა და გა ხილვა დამტკიცებაა?! ქვეყანა სისხლისაგან იწრიტება, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო ლაში ჩაბმულან სახელმწიფოები. ყველგა ცრემლი და ძაბა-ფლასი გამეფებულ ხვალ რა მოგველის არ ვიცით და ამ გვარ არევ დარევის დროს გამოდიან ვიღაც ვაჟბატონები და ქართულ ეკლესიას ვიანთი უწმინდ პროექტებით განადგურ უპირებენ. რათამ რისთვის ან ვისი არის დღეს საჭირო ამ გვარი მოქმედება! სწორედ ამ გვარ ადამიანებზე უთქვამს ჩვენ ხალხს: „ცა და ქვეყანა იქცეოდა, ბლი ძე-კი ცეკვას უვლიდაო".

მე მგონია, ჩვენი ეკლესიის ჩამორთმე ულ უფლებების აღდგენაზე კი უნ იწერებოდეს დღეს პროექტები რუსეთ და ამ ეკლესიის ჩირქს მოძმეებ პროექ არ უნდა ქონდეს ადგილი. მე ნია, ეს დაიმსახურა ჩვენმა ხალხმა, რომ ამას ხედვენ კი უწინდ პროექტ მთხზველები? და რადგანაც ვერ ხედ და ვველურ კბენას არ სწყვეტენ დღეს შავ დღეს, ჩვენი საზოგადოების შეგნებულ ნაწილის წმინდა მოვალეობაა ამ სასწუხ რო მოვლენას ანგარიში გაუწიოს ყველ შეგნებულმა ელემენტმა, მიუხედავათ მი მართულებისა და წოდებისა, ხმა უნდა აღიმაღლოს იმ უსამართლობის წინაღ მდეგ, როგორ უსამართლობათაც ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს საეგსარხოსოდა სოხუმის ეპარქიის გამოყოფვის შესახე დამზადებული პროექტი

გორგი.

# საყურადღებო პოლემიკა

დასასრული იხ. „სამშობლო" № 325-ე.

„ნეი ცაიტ"-ის თანამშრომელი სპ-ის კრიტიკით ის უნდა დავასკვნათ, რომ სეთს ზავის ჩამოგდების შემდეგ უნდა უბრუნდეს წართმეული ტერიტორი ამას კი ვერც ერთი სოც.-დემოკრატი ვე შეურიგდება.

რა მოუვათ მაშინ რუსეთის იმპერიაში დარჩენილ არა-რუსებს? ანდრაშის მავალითის გახსენება შეუსაბამოა, რადგან ანდრაში პოლონეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი კი არ არის, არამედ მისი სრული დამოუკიდებლობისა. პერნერსტორფერს არ ესმის ისიც, თუ როგორ შეუძლია სპ.-ს აუმხედრდეს უკრაინის თავისუფლებას.

„მე ვშიშობ, ამბობს პერნერსტორფერი, რომ იგი ამჟამად ვერ განხორციელდეს, მაგრამ, როგორც სოც-დემოკრატს, არავითარი საბუთი არ მომეპოვება უკრაინის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ". პერნერსტორფერი ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობის მოთხოვნა სრულიად შეესაბამება, თუ უკრაინის მთელი ხალხის ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელს ნაციონალურ მისწრაფებას არა, მისი ინტელიგენციის ზრახვას მაინც. ასეთ ლტოლვის ტენდენციები ეჩნევა, პე რსტის აზრით, პოლონელებს, ბალ მხრის გერმანელებს, ებრაელებს, ფ და ესტონელებსა და ლატიშებსაც კი ეს ერები დარჩენ რუსეთის იმპერიის რგლებში, მათ, პერნერსტ აზრით, ცილებლად მთელი ნაციონალური ს დილი; მოელის „ყველა ამას არავითარ მნიშვნელობა არა აქვს იმათთვის ვისთვისაც ნაციონალურ საკითხს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისინი კი მელნიც ჩემსავით უცქერენ ამ საკით ნაციასა და სახელმწიფოს კაცობრიო საერთო ცხოვრების ჩანასახად სთვლი არა მხოლოდ დღევანდლობისათვის,

---

ავს გაატანონ ამიტომ ყველაფერი სიეთე ტყუილია ამ ქვეყნად, ამ სოფლად, ლო, თუ ადამიანის სულიერ მხარეზეც ელაპარაკობ, მარტო იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ამ წუთი სოფელშივე უნ ვიყოთ ადამიანები და არა ერთი ერთმანეთის მგლები. საქმით კი სამწუხაროდ, არ გამოდის! რათა? იმიტომ, რომ ტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დი ზღვარი".

ადამიანობას შეგნება, შესმენა, შემცნე უნდა და ჩვენ კი ცხოვრების წვრილმანობა, გაბრუნდებული ალღო ცხოვრესა და ძალმომრეობა კვლავ მხეცურ ტიქტებს გვიმორჩილებს..

იმიტომ დღეს-დღეობით არა მრწამს რა ვინც ბრტყელ ბრტყელ სიტყვებს ბის და საქმით კი ისევ „ძველ ღმერს ემსახურება.

ჩვენებური „სოციალისტები" დღე და მახარად გვგდებენ, გვიკიჟინებენ რჩენილები ხართ, ჩამორჩენილნი, ბუები, ეშმაკები და ქაჯებიო", მაგრამ რომ მკითხოთ, არც ისინი არიან მამაინც უმანკო კრავები. ვინც კარგე და თავის მოძღვრების აღმასრულებნი იყვნენ და არიან მათში, ან უდროდ დაილუპნენ და ან სიმწრის ცხოვრე ატარებენ, ხოლო უმრავლესობა კი უარესად იქცევა.

როგორ უნდა ვიწამო „სოციალისტო ისეთის კაცისა, რომელსაც წლიწად ოციათასი თუმანი შემოსავალი აქვს გროშს კი არ გაიმეტებს „მოყვასისა". როგორ უნდა ვიწამო სოლისტობა ისეთის კაცისა, რომელიც თობის მოტრფიალეა და „სოციალიტობს" მარტო იმიტომ, რომ ამით თავისი გავლენა გააფართოვოს და თავისი პირადი გულისთქმა დაიკმაყოფილოს.

ჩვენ, ქართველები ისეთ პირობებში ვართ, რომ, მე მგონია, არავისი ფეხის აყოლა არა გვმართებს

იცით, ბატონებო, რა მოგახსენოთ? მოდი დავანებოთ მყვირალობას თავი და ერთი დიდად სასარგებლო პრაქტიკული საქმე გამოვაწყოთ:

საქართველოში $2^1/_2$ მილიონი ქართველი ვართ. წარმოვიდგინოთ რომ ამ ორ მილიონ ნახევარში ერთი მილიონი სრულიად შეუგნებელია, კიდევ დავრჩებით მილიონ ნახევარი. ვსთქვათ, ამ მილიონ ნახევარში ერთი მილიონი საყველპუროდ ადამიანობს, დავრჩებით ნახევარ მილიონი, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა,—თუ ჩვენში არსებულ მქადაგებლებსა და „ცნობილ მიმართულებათა" ხელმძღვანელებს დავუჯერებთ—სოციალისტი უნდა იყოს,—აი ამ ნახევარ მილიონ ქართველებს ყოველ თვე გამოვართვათ ხოლმე თითო მანათი. ეს შეადგენს წელიწადში 6 მილიონ მანათს. ამ ექვსი მილიონი მანათით ყოველწლივ დავაარსოთ ხოლმე სკოლები, საცდელი მინდვრები, საჩქერეები, ვიყიდოთ სამეურნეო იარაღები, გამოვსცეთ სახალხო გაზეთები და წიგნები, ავიყვანოთ მასწავლებლები, შევქმნათ მოძრავი უნივერსიტეტები, მფრინავი „საექიმო რაზმები" „მოსიარულე ვექილთა ბიუროები", გავხსნათ ბანკები, სახალხო საკრედიტო დაწესებულებანი, თავშესაფარები, ქარხნები, ფაბრიკები, საქმე გავუჩინოთ უმუშევართ, სასყიდელი მივცეთ მშრომელთ, გავამხნევოთ ნიჭიერნი, ავლაგმოთ ჩარჩები, გავიყვანოთ გზები, ფოსტა ტელეგრაფები, მოვრწყოთ მინდვრები, შევკრათ ერთი პირი, გავახაროთ მეგობრები, გულზე გავხეთქოთ ჩვენი მტრები და სხვა და სხვა და სხვა...

გეცინებათ?!

ასეთივე სასაცილო და უტოპიურია (პირადად ჩემთვის მაინც) ფაფხური ყველა იმათი, ვინც მხოლოდ სიტყვით არის მამაცი და საქმით კი ზარმაცი!

ასეთები კი თითქმის ყველანი ვართ ცხოვრების იმ უკულმართი პირობებისა გამო, რომელშიც ჩვენ ჩაგვყარა ისტორიის ქარტეხილმა

ჩვენ თუ სიცოცხლე გვინდა, ისევ ერთმანეთს უნდა მივცეთ მხარი! თავადი, თუ აზნაური, ბურჟუა თუ მოხელე, ღვდელი თუ ბერი საზოგადოთ ყველა ქართველი—მოვალეა რითიც კი შეუძლია დაეხმაროს საერო საქვეყნო საქმეს და დაამტკიცოს თავისი ადამიანობა!...

მაგრამ, ვაი, რომ ასეთი საანბანო ჭეშმარიტებაც კი სადავოდ გაგვიხდია და ჩვენის პირადის შეუსმენლობით ლამის დავილუპნეთ კიდეც.

ასეთ შემთხვევაში ერის, მისი იდეალისა და სულის მატარებელი მხოლოდ მშობლიური მწერლობაა და მეც ამიტომ მიყვარს ეს მწერლობა, მეც ამიტომ ვეთაყვანები მწერლებს, მეც ამიტომ აღვნიშნე „სხივის" გამოსვლა, თუმცა „ცნობილ მიმართულების" პრესამ ვერც კი შეამჩნია იგი.

ან კი რათ შენიშნავდენ მას! სოციალიზმის ქადაგება და პირადი განდიდება უფრო დიდი რამ არ არის, ვიდრე პატარა მუშაკების გულის ტკივილი?...

მაშ, დავუთმოთ ჟიდ საქმეებზე ზრუნვა დიდ-კაცებს და ჩვენ კი დავუბრუნდეთ „სხივის" პატარა მწერლებს.

(შემდეგი იქნება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილ საკუთრებათათვისაც. იგინი ბ მაღალი აზრისანი არიან ნაციო- ლიბერალების შესახებ და მის მომავალს გადამწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებენ".

ნალისტური აზრით, რორბახი ზოგიერთ რამეში სცდებოდეს, საერთოდ უნდა დავეთანხმოთ. თვის სულ ერთია, რუსის მხედრობა ნებით თუ სხვისი ძალდატანებით დაპყრობის პოლიტიკას. რუსე- ებას ევროპიდან მოითხოვს მშვი- ის და ევროპიული კულტურის ოი განვითარების ინტერესი. ეს პატარა ერებისათვის, რომ- ისახლეობენ რუსეთის დასავლე- სამხრეთ ნაწილებში. „ამიტომ, თავის წერილს პერნ—ი: მე რო- სოც.-დემოკრატს გადაჰკრით მსურს უსეთის სული დამარცხება".

ინტერნაციონალისტის პასუხი გასცა თავის რით—სპ.—მა, რომელსაც სრულიად ბუნებრივად მიაჩნია რუსების გაძევება ევროპიდან. ან ნუ თუ მართლა ჰგონ- რობს პერნ-ი, ამბობს სპ. რომ ევროპის კულტურა უზრუნველყოფილი იქნება იმით, ას მილიონს სალსა და ძლიერს ხალხს მეტყეთ ზღვასა და ოკეანებს! რორბა- ისთვის რუსის გლეხობის იმპერიალის- ერი მოძრაობა ერთად ერთი საბუთია საწინააღმდეგოდ. პერნ-რს თი ს არ ჯერა ეს, მაგრამ მაინც წინა დგება რუსეთისა, არა მარტო დღევა- ლი ბიუროკრატიულის, არამედ სა- სტიტუციო რუსეთისაც.

ს. ხნერს: პერ—ი სცდება, როცა მწა- ვითომც პატარა ერების თავისუფ- ის წინააღმდეგი ვიყო. პირიქით ერთ- ლ თვითგამორკვევის ნიადაგზე ვდგე- რომელსაც, ღალატობს პერნერ—ი ლაპარაკობს პატარა ერების სახელით უნდა კი იმის გაგება, თუ რას ჰფი- რობენ თვითონ ეს პატარა ერები...

ს.—მ.-ის აზრით, დამოუკიდებლობა ნდა მოიპოებულ იქმნას პოლიტიკურ ბრძოლით და არა ომით. ამ გზას ვერ ლალატებს ს.-დემოკრატია პერ—ი გვი- ტეუებს, რომ რუსეთში მცხოვრებ პო- ლონელებს, ებრაელებს, ლიტველებს, ავშებს დამოუკიდებლობა და თავისუ- ლება ენდოთ. მაგრამ დანამდვილებით ცით, რომ მაგალ. ებრაელების პრესა რუსეთში ძალზე პატრიოტულია. ლატი- ის ს.-დემოკრატებმაც პროტესტი გა- აცხადეს გერმანელების წინააღმდეგ. ასე ამბობენ სხვებიც... (დ.).

## კოოპერაციის ბედი.

ამ ბოლო ხანში სახელმწიფო სათათ- მა განსახილველად წარედგინება კანონ- პროექტი კოოპერაციის ტიპის გამორკვევის შესახებ.

როგორც რუსეთში, ისე ჩვენში ამ ბოლო ეს კოოპერატიული მოძრაობა მეტად ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ზედმეტი უნდა ყოს იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი სარ- გებლობა მოაქვს დღეს კოოპერატივს ხალ- ხისთვის საზოგადოთ და განსაკუთრებით ამ ომიანობის დროს, როდესაც საჭირო ნივთები არა ჩვეულებრივათ გაძვირდა და ხალხი გაჭირვებულ პირობებში ჩავარდა., როდესაც ხალხმა სიძვირესთან საბრძოლველად და სპეკულანტების ასალაგმავად ერთად ერთ საშუალებად კოოპერატივები სცნო.

დღეს ყველგან, თვით მიყრუებულ სოფელშიც კი შეხვდებით კოოპერატიულ ამხანაგობებს, რომლის ნაყოფიერ მოქმედებისათვის ხალხი ძლიერ ემადლიერება.

რუსეთის ცხოვრებაში კოოპერაციის გაძლიერება დააჩქარა ომმა, სხვა დროს, ოლებით, იგი ვერც კი განხორციელე- ბოდა, რადგან მას იმთავითვე ბევრი ები ეცვა და ხალხშიც ნაკლები ნია- ი ჰქონდა ამისა.

რა სარგებლობა მოჰქონდა ევრო- პის კოოპერაციას, ამას რუსეთში კარგად იცოდნენ, მაგრამ მას რუსეთისთვის საჭი- რო არ სცნობდნენ.

თვით დღესაც კი, როცა ომის მიერ შექმნილმა განსაკუთრებულმა მძიმე პირო- ბებმა კოოპერაციის საჭიროება ყველა- სთვის აშკარა გახადა და ფართო მასამ ის აუცილებლობა აღიარა ზღაპრულ ძვირებასთან საბრძოლველად და სპეკულან- ტების ასალაგმავად, გამოვიდნენ რუსეთის ჩინოვნიკები და ამბობენ: „კოოპერა- ცია სოციალიზმის ქადაგებაა, ჩვენთვის [illegible] თუ არ ჰყავსებ მას, განათლებული ინტელიგენცია, მაინც უნდა ჩამოვაშოროთო.

ასე ექცევიან ხალხისათვის სასარგ. საქმეს, რომელნიც სიტყვით ქვეყნისთვის თავდადებას ქადაგებენ, საქმით კი სულ წინააღმდეგ იქცევიან. ჩვენა გვგონია, რომ სახელმწიფო სათათბირომ, რომელმაც ნათლად დაინახა კოოპერაციების სარგებლიანობა დღევანდელ სიძვირესთან საბრძოლათ და ხალხისადმი უსაჭიროესი სანოვაგის მიწვდის საქმეში, შესაფერ ანგარიშს გაუწევს კოოპერატიულ მოძრაობას და არა თუ შეეცდება შეზღუდოს მისი მოქმედება, ისეთ კანონპროექტს შეიმუშავებს, რომელიც უფრო გააფართოებს კოოპერატივების მოქმედებას, ვინაიდან ამას გვიკარნახებს თვით ცხოვრების გართულება და დღეს არსებული ცხოვრების რეალური პირობები.

ირ—დი.

## ქალაქის საბჭოს კრება.

### 31 მარტი.

კრებას პირველად თავჯდომარეობს ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი პ. მოსიძე, შემდეგ კი ქალაქის მოურავი ბ-ნი ი. მ. ჩიქოვანი. თავჯდომარე კითხულობს 7 მარტის თარიღით მოსულ მოსკოვის სასურსათო კომიტეტის მოწერილობას, სადაც 13 მარტისთვის დანიშნული იყო საერთო სასურსათო წარმომადგენელთა კრება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, მიწვეული იყო ქუთაისის წარმომადგენელიც.

**ხმ კრინიცკი** მწუხარებას გამოსთქვამს ქალაქის გამგეობის ასეთ მოქმედებაზე ის საქმე, რომელიც 7 მარტს მიიღო ქალაქის გამგეობამ და რომელიც ფრიად საინტერესო იყო ჩვენთვის, რატომ აქამდი არ წარმოგვიდგინათ

კრინიცკი წინადადებას აძლევს კრებას ერთხელ და სამუდამოთ დაგმოს ქალაქის გამგეობის ასეთი მოქმედება.

**თავჯდომარე** ეს არ შეეხება ქალაქის გამგეობას, რადგანაც სასურსათო კომიტეტის თავჯდომარე არის მხოლოდ ქალაქის მოურავი.

შემდეგ კრება გადადის მორიგ საკითხზე.

**თავჯდომარემ** მოახსენა საბჭოს საუბნო სასანიტარო მზრუნველთა ორგანიზაციის მოწესრიგების შესახებ, რომელსაც საბჭო ერთხმად ღებულობს უცვლელად.

შემდეგ თავჯდომარეობს ქალაქის მოურავი **ი. მ. ჩიქოვანი.** გასარჩევია საკითხი ადგილობრივ ებრაელების უფლების მიცემის შესახებ ქალაქის თვითმართველობის შემადგენლობაში, რომელიც მეფის ნაცვლის საბჭომ დაამტკიცა. მოითხოვენ ამ კანონის წაკითხვას.

მდივანი კითხულობს.

**ჯაფარიძე.** საბჭომ ამ საქმეს დიდი სიხარულით უნდა შეხვდეს.

**ქალაქის თავი.** ეხლა მუშავდება საქალაქო დებულებათა ახალი კანონები და აზრათ აქვთ ქალებსაც მიეცესთ უფლება ქალაქის საქმეებში მონაწილეობისა ამის შემდეგ საბჭო იხილავს საგუბერნიო სამმართველოს საექიმო განყოფილების წინადადებას, რომ დაენიშნოს ქალაქის ექიმს თ-დ ლორთქიფანიძეს ნაწილი პენსიისა ქალაქის საშუალებიდან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა საშუალების უქონლობის გამო პენსიაზე უარი ეთქვას. საბჭომ გამგეობის აზრი დაადასტურა

საბჭო დიდხანს შეჩერდა გადამდებ სენიანთა საავადმყოფოს გამგე ექიმ ჩარგქოვის წინადადებაზე, რომ საავადმყოფოს მოსამსახურეთ მოუმატონ თვიური ჯამაგირი, წინააღმდეგ შემთხვევაში. მოსამსახურეები უარს ამბობენ სამსახურზეო

**ბადრიძე, გველესიანი** და სხვები აღნიშნენ, რომ გადამდები ავადმყოფობა, როგორიც არის ტიფი, ხოლერა და ჟამი, ისეთ საშიშროებას წარმოადგენენ, რომ მასში ყველა დაბალსა და მაღალ მოსამსახურეს მართლაც, საჭიროა განსაკუთრებული სასყიდელი მივსცეთო. ამ საკითხის გამორკვევა საბჭომ კომისიას გადასცა, რომ ახლო მომავალში წარედგინოს საბჭოს დასამტკიცებლათ.

შემდეგ ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს: სამოქალაქო საკრებულომ ეჭვი შეიტანა, რომ სახელმწიფო ბანკმა ქალაქს სასურსათო სანოვაგის ორგანიზაციის მოსაწყობათ, შეიძლება სესხი არ მისცეს, ამიტომ იგი წინადადებას აძლევს საბჭოს, მიიღოს ასეთი დამატებითი ფორმულა: ქალაქის თვითმართველობა შეამდგომლობს, თუ შესაძლებელია სახელმწიფო ბანკმა გაგვიხსნას 5% სესხი, თუ არა და მოგვეცეს უფლება ავიღოთ კერძო ბანკიდან 6½% სესხი სახელმწიფოს გარანტიით. ამ საკითხს დაუდგეს ყუთი და კრებამ ერთხმათ მიიღო.

ამ სხდომაზე უნდა გარჩეულიყო ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ახალი შტატის შემუშავების საკითხი, მაგრამ, უდროობის გამო, გადიდვა შემდეგს მორიგ კრებამდე.

კრება დასრულდა ღამის 11½ საათზე.

—კა.

## ქართველ სამღვდელოებას.

სარწმუნოების დაცემასთან, ქართველი სამღვდელოება ყოველივე ამას კარგად გრძნობს და მოწადინებულია ამ არა ნორმალურ ცხოვრებას გზა გამოუძებნოს.

ერთად-ერთი გზა აღთქმის ქვეყნისაკენ მიმავალი— ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოება არის. ამ დიდი საქმის დაგვირგვინებაში დღემდის ქართველი სამღვდელოება მარტო გრძნობდა თავს, რაც მის შეგნებულ ნაწილს დიდათ აწუხებდა. ქართველი სამღვდელოების სასიხარულოდ ამიერიდან ამ სამწუხარო მოვლენას ბოლო ელება და ივერიის ეკ. საკითხი ქართულმა პრესამ, მიმართულების განურჩევლად, მორიგ საკითხად აღიარა. ყველაზე უფრო თავგამოდებული ამ საქმეში გაზეთი „საქართველოა". დღეიდან ქართველ სამღვდელოებას ჰმართებს უფრო მეტი ენარისს და ფხის გამოჩენა და საერო წოდებისათვის ამ საქმეში ხელის შეწყობა.

წუთიერი სიამოვნების დაკარგვამ ვერ უნდა შეაშინოს ქართველი სამღვდელოება ამაზე უკეთესი დრო

ივერიის ეკლესიას ძნელად დაუდგება. ქართველი ერის სამწუხაროდ წრევანდელმა დასავლეთის საქართველოს სამღვდელოების კრებებმა ამ ნიადაგზე ვერავითარი რეალური ნაყოფი ვერ გამოიღეს და აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას ჯერ ჯეროვნად კრინტიც არ დაუძრავს.

მიუცილებლად საჭიროა,

ქართველი ხალხის ერთხმოვანი სურვილი, ივერიის ეკ. ავტოკეფალიის შესახებ, ჩვენს, კაცთ მოყვარე და დაჩაგრულთა მოსარჩლე, მეფის ნაცვალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მოხსენდეს.—

მ. ფარცხნაძელი.

## მუშათა შორის.

ბეჭდვითი საქმის მუშები ყველა დარგის მუშებზე წინ უნდა იდგეს ყოველმხრივ, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ეს ასე არ არის.

ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშების უმრავლესობა ძლიერ გულცივად ეპყრობა ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას და თვით განვითარების საქმეს. ეს ნათლად დაგვანახა სახალხო უნივერსიტეტის კრებამ.

ამ კრებაზე მუშების უმრავლესობას ნოქრები და ფეხსაცმელის მკერავი მუშები შეადგენდენ, ხოლო თითო ოროლა ამწყობს აქა-იქ მოჰკრავდით თვალს.

როდესაც ჩვენმა „სოციალისტ მამულიშვილებმა" მოითხოვეს ფარული კენჭის ყრით აერჩიათ კულტურულ კავშირში გასაგზავნათ სამი წარმომადგენელი, და წევრთა სიის წაკითხვას შეუდგენ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი პროფესიიდანაც იყო რამდენიმე პირი წევრათ ჩაწერილი, მაგრამ თავისი ხმით ვერ ისარგებლეს დაუსწრებლობის გამო.

ჩვენ კი, ბეჭდვითი საქმის მუშებს, რომელთაც საწევრო ფული გადახდილი გვქონდა და ყველა ჩვენთაგანს უფლება გვქონდა ჩვენ მიერ წამოყენებულ კანდიდატებისათვის თეთრი კენჭი მიგვეცა და სრული ნდობა გამოგვეცხადებინა მათთვის—ასე გულცივად შევხვდით ასეთს საყურადღებო, სახალხო უნივერსიტეტის კრებას, რაც ჩვენს მოუმზადებლობასა და გულგრილობას უნდა მივაწეროთ.

საჭიროა, აწი ჩვენც მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა სხვა და სხვა კრებებზე და ჩვენი ხმა შევუერთოდ დანარჩენ სხვა პროფესიის ამხანაგებს. რაც შეიძლება მეტი მომზადებით უნდა შევხვდეთ ყოველგვარ გამოსვლას და მივიღოთ შეძლებისადაგვარად ყველა კულტურულ დაწესებულებაში მხურვალე მონაწილეობა.

ერთი ასოთ-ამწყობთაგანი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### საფრანგეთის ასპარეზი.

**პარიჟი.** ბელგიაში ლონდემარკის ხაზზე ჩვენი არტილერია მარჯვეთ მოქმედებდა. სომსთან უაზოსთან და როას რაიონში ცხარე ბრძოლა ხდებოდა. არგონებში ჩვენ ავაფეთქეთ ოთხი თხრილი. კურტოშოსთან ჩვენ ოთხი ამოთხრილი წაფართვით მტერს. მდინარე მაასის მაღლობ ადგილებს ყუმბარებს უშენენ. ვევრთან საარტილერიო ბრძოლაა დანარჩენ ფრონტებზე თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

### ბელგიის ასპარეზი

**ჰავრი.** ბელგიელთა ცნობა. მთელ ფრონტზე სიწყნარეა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** ლენდროს ველზე ჩვენ წინ წავიწიეთ და რამდენიმე ადგილი დავიჭირეთ მონტეპორენესთან ბრძოლის დროს მტერს დიდი ზარალი მოუვიდა და ჩვენ 25 ტყვე წამოვიყვანეთ. სხვაგან საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**პარიჟი** გერმანელებმა ვევრთან და ზოგიერთ სხვა ადგილებში იერიში მოიტანეს, მაგრამ ყველგან უკუგდებულ იქნენ.

### ინგლისის ასპარეზი

**ლონდონი.** 31 მარტი. საფრანგეთში რიუბურთა შეტაკება მოხდა, სადაც ათი გერმანელი მოკლულ იქნა სენტელუასთან გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ უშედეგოთ, მათ ჩვენ თხრილებთან 25 მოკლული დასტოვეს, სამი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

### ბალკანეთის ასპარეზი.

მთელ ფრონტზე სიწყნარეა.

### ვერდენთან დღის ცნობა.

ღამემ წყნარად ჩაიარა, გუშინ გერმანელები საიერიშოთ ემზადებოდენ, მაგრამ ჩვენ ხელი შევუშალეთ. გერმანელებს იერიში მოქმონდათ 30[illegible] [illegible] თოდ ფრონტზე არსებითი ხასი[illegible] ცვლილება არ მომხდარა.

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. კორბოული.** (ზემო იმერეთი)

ბევრი ითქვა და დაიწერა როგორც კორბოულის მკითხველთა, ისე საზოგადოთ ზემო მხრის წრევანდელ მოსალოდნელ სიმშილზე, მაგრამ ჯერჯერობით ამ მხრივ არა გაკეთებულა რა. სიმშილობამ კი აქ იქ მეტ იჩინა თავი და მოსალოდნელია აწი ქრონიკულ ხასიათს მიიღებს, თუ დროზე ზომები არ იქნა მიღებული. წინანდელ აქ ჯერ იშვიათად თუ ვინმეს მოეპოება გასაყიდი, და თუ კი ვინმე გაყიდვაც სთქვა, ფასს ნუღარ იკითხავთ. თებერვლის ნახევრამდის ბათმანი სიმინდი ფასობდა 15 მაური. ახლა კი ფასმა 6 აბაზამდე აიწია და ამ ფასსაც ვინ ჩივის თუ გასაყიდს იშოვა ადამიანმა. ბათმანმა ქერის ფასმა აიწია 4 აბაზ.—8 აბაზამდი.

აქეთ ძალიან გახშირდა ადამიანთა ავადმყოფობა. ამას ზედ დაერთო ცხვრის და საქონლის ავადმყოფობაც. ცხვარსა და რქაოსხვეს საქონელს პირველად თავ-ში უსივდებათ, მერე სტომაქში აფალარებს და მსწრაფლ კვდებიან. ამ სენმა მრავალ ოჯახს გაუწყვიტა მარჩენელი მუშა-საქონელი და სა[illegible] შენი ძროხები ცხვრის სინსილა ზოგიერთს სულ გაუწყდა. როგორც ზოგიერთებმა მა[illegible] რეს ადგილობრივ მამასახლისს აცნობეს თუ[illegible] ეს ამბავი, რომელმაც თხოვნით მამასახ[illegible] დაც ჯერ არს, მაგრამ დღემდე ამ საქმ[illegible] აქეთ არავინ მოსულა, რაიცა მეტად სამწ[illegible] რო მოვლენათ უნდა მივაჩნიოთ.

აქეთ გაზაფხულის მუშაობას უკვე შეუდ[illegible] მაგრამ არა იმისთანა ხალისით და ინ[illegible] ტრიალით, როგორც ეს იმმდის ხდებო[illegible] ხოლმე. ამის მიზეზი მრავალია. მაგრამ [illegible] თავრესი კი მუშა ხელის სიმცირე და [illegible] საქონლის უქონლობა. არიან ისეთი ოჯახ[illegible] რომლებშიდაც ქალებისა და ბავშების მ[illegible] არავინ მოიძებნებიან. არიან ისეთი მამ[illegible] რომელთაც 3—4 და მეტიც წამოზრდ[illegible] შვილები მუშაობის დროს მხარს უმშვენ[illegible] მაგრამ მრავალ იმათგანს ეველა ესენი [illegible] მიარეს და ომში გაიწვიეს, ხოლო მათ [illegible] ხუცებული თავიანთი უძლური მკლავებით [illegible] რა არიან დატოვებულნი.

გაზაფხულის მუშაობას დიდათ შეაფერხ[illegible] უთესლობაც, რადგანაც შარშანდელი მოსავ[illegible] ისე ცუდი ღირსების იყო, რომ სათესლ[illegible] მისი გამოყენება უოვლად შეუძლებელია.

მღ. ვლად. მაჭარაშვილი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**

მმ. **ქორქოლაძეების** მაღაზიაში (მიხეილის ქ. საკ. სახლ
**მიღებულია** საუკეთესო საშუალება „**ოსტიოკოლი**"
ღვინის გასაწმენდათ ლექისგან.
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ზომიერ

**სიფილისი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ
ექ **დი.ვიზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიუყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავსანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დი-ვიზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებად სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი.** ექ დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ნირქის დნას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხარხმლობისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს.

ხიფარშავის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.** (წლიური)

მსწრაფლმბეჭდავი [illegible] ალ. კობრეიძისა—ქუთაისში.